



## დამოუკიდებელი ინსპექტორის

### გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

ქ. თბილისი

2020 წლის 28 თებერვალი

დისციპლინური საქმე №2/20-1

მოსამართლე ----- მიმართ

დისციპლინური სამართალწარმოების ნაწილობრივ შეწყვეტის შესახებ

-- -- 2020 წლის 14 იანვრის №2 საჩივრის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>5</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 75<sup>6</sup> მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ, მოსამართლე -- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება.

-- -- 2020 წლის 10 თებერვლის №11 საჩივრის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>5</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 75<sup>6</sup> მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ, მოსამართლე -- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება.

-- -- 2020 წლის 18 თებერვლის №16 საჩივრის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>5</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 75<sup>6</sup> მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ, მოსამართლე -- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის 2020 წლის 29 იანვრის №11/2-03 წერილით, მოსამართლეს ეცნობა -- -- 2020 წლის 14 იანვრის №2 საჩივრის შემოსვლისა და დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების შესახებ.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის 2020 წლის 11 თებერვლის №72/11-03 წერილით, მოსამართლეს ეცნობა -- -- 2020 წლის 10 თებერვლის №11 საჩივრის შემოსვლისა და დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების შესახებ.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის 2020 წლის 19 თებერვლის №99/16-03 წერილით, მოსამართლეს ეცნობა -- -- 2020 წლის 18 თებერვლის №16 საჩივრის შემოსვლისა და დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების შესახებ.

დამოუკიდებელი ინსპექტორის 2020 წლის 19 თებერვლის გადაწყვეტილებით მოსამართლე -- -- მიმართ არსებული №2, №11 და №16 დისციპლინური საჩივრები გაერთიანდა და დისციპლინურ საქმეს მიენიჭა ნომერი 2/20.

#### 1. საჩივრის ავტორის მიერ მითითებული ფაქტები:

1.1 საჩივრის ავტორი სადავოდ ხდის მოსამართლე ----- მიერ ადვოკატების -- -- და -- -- მიმართ მიღებული განკარგულების კანონიერებას.

1.2 მოსამართლე -- -- უაპელაციოდ ენდობოდა პროკურორს და არ ახდენდა სხდომაზე მოწმის იდენტიფიცირებას, კერძოდ არ ამოწმებდა პირადობის დამადასტურებელი მოწმობას.

1.3 2019 წლის 22 ნოემბრის სხდომაზე, როდესაც იხილებოდა ბრალდებულების პატიმრობის ძალაში დატოვების საკითხი, ბრალდებულის მიმართ გამოიყენა ტერმინი „დამნაშავის პიროვნება“.

1.4 მოსამართლე -- -- დაცვის მხარეს არ მისცა საშუალება დაეყენებინა მოსამართლის აცილების შუამდგომლობა.

1.5 -- -- სისხლის სამართლის საქმის არსებითი განხილვის სხდომაზე მოსამართლემ დაარღვია საქართველოს სს საპროცესო კოდექსის 25-ე მუხლის იმპერატიული მოთხოვნა, რაც გამოიხატა მხარეთა თანხმობის გარეშე მოწმისათვის დამაზუსტებელი კითხვების დასმაში. მოსამართლე საკუთარი ინიციატივით განარიდებდა დაცვის მხარის კითხვებს. მოსამართლე იყო მიკერძოებული, ყოველთვის აკმაყოფილებდა პროკურორის შუამდგომლობას მოწმისათვის დასმული კითხვების განრიდების შესახებ.

1.6 მოსამართლე -- -- უპატივცემულობით გამოირჩეოდა ადვოკატების მიმართ.

## **2. საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები**

მოსამართლე -- -- სს საქმე -- -- და -- -- მიმართ არსებითად განსახილველად დაეწერა 2019 წლის 15 ოქტომბერს.

სს საპროცესო კოდექსის 220-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად წინასასამართლო სხდომის მოსამართლის 2019 წლის 7 ოქტომბრის წინასასამართლო სხდომაზე საქმის არსებითი განხილვის სხდომის თარიღად განისაზღვრა 2019 წლის 21 ოქტომბერი, 10:00 საათი.

2020 წლის 8 იანვრის სასამართლო სხდომაზე მოსამართლემ გამოსცა განკარგულება ადვოკატების -- -- და -- -- დაჯარიმების შესახებ.

-- სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის 2020 წლის 23 იანვრის განჩინებით გაუქმდა -- -- სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის მოსამართლის 2020 წლის 8 იანვრის განკარგულება -- -- 100 ლარით დაჯარიმების თაობაზე.

-- სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის 2020 წლის 23 იანვრის განჩინებით გაუქმდა -- -- სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის მოსამართლის 2020 წლის 8 იანვრის განკარგულება -- -- 100 ლარით დაჯარიმების თაობაზე.

## **3. საჩივრის (საჩივრების) საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება**

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>1</sup> მუხლის მე-8 პუნქტი განსაზღვრავს მოსამართლის დისციპლინური გადაცდომის სახეებს. იმისათვის, რომ დადგინდეს ქონდა თუ არა ადგილი მოსამართლის მიერ შესაბამისი გადაცდომის ჩადენის ფაქტს საჭიროა სამართლებრივი შეფასება მივცეთ მოცემულ საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და შევაფასოთ კონკრეტული ფაქტები შეიცავენ თუ არა დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს.

ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს კონსტიტუციის 63-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, არავის არა აქვს უფლება მოსთხოვოს მოსამართლეს ანგარიში კონკრეტულ საქმეზე. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია.

მოსამართლე ფაქტობრივ გარემოებებს აფასებს და გადაწყვეტილებებს იღებს მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების, სხვა კანონების შესაბამისად და თავისი შინაგანი რწმენის საფუძველზე.

საჩივრის ავტორის განცხადებით, მოსამართლე -- -- 2020 წლის 8 იანვრის არსებითი განხილვის სხდომაზე ადვოკატების -- -- და --- მიმართ გამოსცა უკანონო განკარგულება.

საქართველოს სსსკ-ის 23-ე მუხლის თანახმად, სასამართლო სხდომის თავმჯდომარე წარმართავს სხდომას, სასამართლოს თათბირის მიმდინარეობას, მხარეებს აძლევს შესაძლებლობას, დაუბრკოლებლად წარადგინონ და გამოიკვლიონ მტკიცებულებანი, უზრუნველყოფს წესრიგის დაცვას, აგრეთვე ახორციელებს ამ კოდექსით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს.

ამავე კოდექსის 228-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, სხდომის თავმჯდომარე აფრთხილებს პროცესის მონაწილეებს და სხდომაზე დამსწრე პირებს წესრიგის დაცვის მიზნით სასამართლოს მითითების სავალდებულოობისა და სასამართლო სხდომაზე წესრიგის დამრღვევის მიმართ შესაძლო ღონისძიებების გატარების თაობაზე.

საქართველოს სსსკ-ის 85-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, პროცესის მონაწილის ან/და სასამართლო სხდომაზე დამსწრის მიერ სხდომაზე წესრიგის დარღვევის, სხდომის თავმჯდომარის განკარგულებისადმი დაუმორჩილებლობის ან სასამართლოს მიმართ უპატივცემულობის გამოხატვის შემთხვევაში სხდომის თავმჯდომარე ზეპირ შენიშვნას აძლევს მას და მოუწოდებს, შეწყვიტოს არასათანადო ქცევა. აღნიშნული მოწოდებისადმი დაუმორჩილებლობის შემთხვევაში სასამართლო სხდომის თავმჯდომარეს ადგილზე თათბირით გამოაქვს განკარგულება პირის დაჯარიმების ან/და სასამართლო სხდომის დარბაზიდან გაძევების შესახებ.

პირის ქმედების სასამართლო სხდომაზე წესრიგის დარღვევად, განკარგულებისადმი დაუმორჩილებლობად და სასამართლოს მიმართ უპატივცემულობად შეფასებისათვის მნიშვნელოვანია, გათვალისწინებულ იქნეს როგორც მისი შინაარსი და ფორმა, ასევე ის კონკრეტული ვითარება, რომელშიც ქმედება იქნა განხორციელებული. აგრეთვე გასათვალისწინებელია ქმედების ინტენსივობა და ხარისხი, რომელიც შეიძლება გამხდარიყო საპროცესო პასუხისმგებლობის ღონისძიების გამოყენების საფუძველი.

იმპერატიულად დადგენილია საპროცესო წესი იმის თაობაზე, რომ მოსამართლემ განკარგულების გამოტანამდე, ზეპირი შენიშვნა უნდა მისცეს წესრიგის დამრღვევ პირს, ხოლო დაუმორჩილებლობის შემთხვევაში, შემდეგში მიიღოს განკარგულება - დაჯარიმების თაობაზე.

მოსამართლის მიერ ამგვარი შენიშვნა და მოწოდება უნდა იყოს ნათლად ფორმულირებული, გასაგები და აღქმადი და არ უნდა ატარებდეს ფორმალურ ხასიათს. ზოგადი მითითება და მოწოდება, რომელიც არაა მკაფიოდ განმარტებული ვერ ჩაითვლება არასათანადო ქცევისათვის კანონმდებლობით გათვალისწინებული ჯარიმის წინაპირობად.

მოსამართლის მიერ ადვოკატ -- -- დაჯარიმების შემთხვევაში სასამართლოს მიერ დარღვეულია საქართველოს სსსკ-ის 85-ე მუხლის მე-2 ნაწილის მოთხოვნა.

არსებულ მოცემულობაში არ არსებობდა წინაპირობა - ზეპირი შენიშვნის სახით, რის გამოც, სასამართლოს ქმედება წინააღმდეგობრივია საქართველოს სსსკ-ის 85-ე მუხლის მოთხოვნასთან.

„საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგია განმარტავს, რომ დისციპლინური გადაცდომისა და სამართლებრივი შეცდომის ერთ-ერთი განმასხვავებელი ნიშანი არის შეცდომის გამოსწორების შესაძლებლობა. აღნიშნული მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ, მართალია, მოსამართლემ დაუშვა შეცდომა, მაგრამ იგი ექვემდებარება გამოსწორებას. შეცდომის გამოსწორების უმნიშვნელოვანეს მექანიზმს წარმოადგენს გადაწყვეტილების გასაჩივრება, ...გადაწყვეტილების გასაჩივრებით შესაძლებელია, ზემდგომმა სასამართლომ აღმოფხვრას ქვემდგომი სასამართლოს მიერ დაშვებული

შეცდომა. ...ამდენად, ზემოაღნიშნული მექანიზმების გამოყენებით შესაძლებელია დაშვებული შეცდომის შეცვლა და მისი გამოსწორება იმავე ან ზემდგომი სასამართლოს მიერ, რაც გამორიცხავს რაიმე უარყოფითი შედეგის მიღებას. მოსამართლის მიერ დაშვებული შეცდომა, რომლის გამოსწორება შესაძლებელია, არ წარმოადგენს დისციპლინურ გადაცდომას. აღნიშნული კვალიფიცირდება სამართლებრივ შეცდომად და დაუშვებელია ამ საფუძვლით მოსამართლის მიმართ დისციპლინური სახდელის დაკისრება“<sup>1</sup>.

რაც შეეხება მოსამართლის მიერ ადვოკატ -- -- მიმართ მიღებული განკარგულების კანონიერებასა და დასაბუთებულობას, აღნიშნულზე მსჯელობა სცდება დისციპლინური სამართალწარმოების ფარგლებს. კონკრეტულ შემთხვევაში ნორმის შეფარდების სამართლებრივი პროცესი განხორციელდა გარემოებათა შინაგანი რწმენით შეფასებების საფუძველზე.

ამრიგად, სამართლებრივი პროცესი ამ კუთხით შინაგანი რწმენით შეფასებების საფუძველზე ხორციელდება, რის გამოც, საკითხზე მსჯელობა დაუშვებელია განხორციელდეს დისციპლინური სამართალწარმოების ფარგლებში. კერძოდ, სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერება, ვინაიდან მას საფუძვლად უდევს მოსამართლის შინაგანი რწმენა, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>10</sup> მუხლის მე-5 პუნქტის დანაწესის თანახმად, დისციპლინური სამართალწარმოების ფარგლებში ვერ შემოწმდება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დამოუკიდებელმა ინსპექტორმა იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>10</sup> მუხლის მე-5 პუნქტით, 75<sup>12</sup> მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით და

### **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :**

1. შეწყდეს -- -- და -- -- საჩივრების საფუძველზე მიმდინარე დისციპლინური სამართალწარმოება მოსამართლე -- -- მიმართ, მოსამართლის მიერ გამოცემული განკარგულების კანონიერების შემოწმების მოთხოვნის ნაწილში.
2. გაგრძელდეს №2/20 დისციპლინურ საქმეზე დისციპლინური სამართალწარმოება მოსამართლე -- -- მიმართ, დისციპლინური გადაცდომის სხვა ფაქტების შესწავლის ნაწილში.

**ზურაბ აზნაურაშვილი**

**დამოუკიდებელი ინსპექტორი**

<sup>1</sup> სადისციპლინო კოლეგიის 2013 წლის 12 აპრილის გადაწყვეტილება, №1/04-12 დისციპლინურ საქმეზე